მე-2 კლასი

ნაწილი I - გრამატიკა

1. რამდენი ასო-ბგერა გვაქვს ქართულ ანბანში?
   ა) ოცი ბ) ოცდათოთხმეტი გ) ოცდაცამეტი
2. რომელია ანბანის მეშვიდე ასო-ბგერა?
   ა) დ ბ) ხ გ) ზ
3. რამდენი თანხმოვანია სიტყვაში „დაგვიანებული“?
   ა) ხუთი ბ) ექვსი გ) შვიდი

ნაწილი II - ლექსიკა /ფრაზეოლოგია

4. ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელია საკუთარი სახელი?
   ა) ეკატერინე ბ) მასწავლებელი გ) ექიმი
5. რამდენი სულიერი არსებითი სახელია წინადადებაში: „გოგონებმა მოხუცს კალათა გამოართვეს“?
   ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
6. რომელია სწორი შესიტყვება?
   ა) სკოლა-მოსწავლე ბ) აქლემი-წიწილა გ) ხარი-ბარტყი

ნაწილი III - წაკითხულის გააზრება

მგელი და თხა

თხა მიუვალ კლდეზე ძოვდა. მგელმა დაინახა, უნდოდა ასულიყო, მაგრამ ვერ შეძლო. ადგა და ქვევიდან შესძახა: რატომ ქვევით არ ჩამოხვალ, აქ უკეთესი ადგილია და ბალახიც უფრო კარგიაო. თხამ ჩასძახა: __ ვიცი რაც გსურს! ჩემი საჭმელი კი არ გადარდებს, შენს მუცელზე ზრუნავ!

7. რამდენი აბზაცისგან შედგება ტექსტი?
   ა. ერთი ბ. ორი გ. არცერთი პასუხი არ არის სწორი
8. ,, ბალახის პირით წიწკნა, გლეჯა და ჭამა“ იგივეა, რაც:
   ა. სმა ბ. ძოვა გ. ძახილი
9. სად ძოვდა თხა?
   ა. ძნელად მისასვლელ ადგილას ბ. ტრიალ მინდორში გ. წყლის პირას
10. რატომ არ ჩავიდა თხა მგელთან?
    ა. მიხვდა, რომ მგელი შეჭამდა. ბ. თხას ციცაბო დაღმართზე სიარული უჭირდა.
    გ. თხამ ვერ გაიგონა მგლის ნათქვამი.